ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება სახვითი ხელოვნება / Fine Arts

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სახვითი ხელოვნების მაგისტრი / Master of Arts in Fine Arts
სპეციალობა: სახვითი ხელოვნება/ Fine Arts

პროგრამის მოცულობა: სწავლება ოთხსემესტრიანია და მოიცავს 120 ECTS კრედიტს, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: 50 კრედიტი პროგრამის სავალდებულო დისციპლინები, 40 კრედიტი არჩევითი დისციპლინები, 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომი.

სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **სახვითი ხელოვნების** სამაგისტრო პროგრამის მიზანია, სამაგისტრო დონეზე აამაღლოს მომავალი სპეციალისტის კვალიფიკაციის დონე მანამდე მიღებული საბაკალავრო ცოდნისა და უნარების გაღრმავებითა და განვითარებით, ამავე დროს პრინციპულად ახალ ჭრილში გადაიყვანოს მისი შემოქმედებითი და ინტელექტუალური მუშაობა. ამ უკანასკნელ ასპექტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, საგნებში და შემდგომ სამაგისტრო ნაშრომში, პრაქტიკული და თეორიული ამოცანების განსაზღვრის გადაწყვეტის და ურთიერთსინთეზის დროს. პროგრამა გათვალისწინებულია ბაკალავრის ხარისხის მქონე ყველა მსურველისათვის, ვინც სახვითი ხელოვნების და დიზაინის სპეციალობების შესწავლის ან ინდივიდუალურ-შემოქმედებითი პრაქტიკის საფუძველზე შეძლებს შემოქმედებითი ტურის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. პროგრამის ხასიათი, მხატვრობის სფეროს სპეციალისტებზე, თანამედროვე დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს ემყარება. მოთხოვნა არის მაღალკვალიფიცირებულ, ფართო შემოქმედებითი დიაპაზონის მქონე, ერუდირებულ ხელოვანზე. სამაგისტრო პროგრამის ამოცანასაც ეს განსაზღვრავს, რადგან: 1) დახელოვნების თვალსაზრისით მხატვრობის სწავლება მოითხოვს ეტაპობრივ და ხანგრძლივ სამუშაო პროცესს, რომლის ბაკალავრიატის პროგრამით შემოსაზღვრა ნამდვილად არასაკმარისია. 2) ბაკალავრიატში მიღებული ზოგადჰუმანიტარული განათლება მოითხოვს ლოგიკურ გაგრძელებას და კონკრეტული საგნებით პრაქტიკოსი მხატვრისთვის ხელოვნების ფილოსოფიის აუცილებელი თეორიული ცოდნის მიწოდებას.

პრაქტიკული ხასიათის საგნები (კომპოზიცია დაზგურ მხატვრობაში, წიგნის გრაფიკა და ილუსტრაცია, კინო-ტელე და თეატრის მხატვრობა, შემოქმედებითი პროექტი) მიზნად ისახავს მხატვრობის კლასიკური, ტრადიციული მეთოდების თანამედროვე შემოქმედებითი პრაქტიკით და აზროვნებით გამდიდრება-დაბალანსებას მხატვრობის კონკრეტულ დარგებში. ეს პრინციპი მომავალ სპეციალისტს მისცემს პრაგმატულ შედეგს – მოიპოვოს რეალური სამუშაო ადგილი ყველგან, სადაც სოციუმს სჭირდება პროდუქციის, ობიექტის ან მოქმედების მხატვრული იერ-სახის დადგენა და განხორციელება; ხოლო საზოგადოებას – ყავდეს გაცნობიერებული მხატვრული ხედვის და გემოვნების მქონე მაღალი დონის

შემსრულებელი. სტუდენტი გაეცნობა თანამედროვე ხელოვნების პრობლემებს, ცნებებსა და ძირითად მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რომლითაც განიხილება ხელოვნება და მისი განვითარების პროცესი, შეისწავლის თანამედროვე ვიზუალური კულტურის და გამოყენებითი ესთეტიკის ინტერპრეტაციის მიდგომებს, რომელიც ეფუძნება და ითვალისწინებს ფილოსოფიის, ფსიქოანალიზისა და სემიოტიკის თანამედროვე ტენდენციებს.

ამგვარად, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა მასში ჩართული აკადემიური რესურსით, სასწავლო და კვლევითი კომპონენტით მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა და მაგისტრის მომზადებისას გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები, აგრეთვე უზრუნველყოს საკუთარი კურსდამთავრებულისთვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

პროგრამით გათვალისწინებული კომპლექსური სწავლება სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების შესაბამის, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნების გამომუშავებისკენ არის ორიენტირებული. ეს ყველაფერი აუცილებელია კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრის განვითარების, სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბებისა და ახალგაზრდებში ეროვნულ–ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისათვის.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ბაკალავრის ხარისხი;
- საერთო სამაგისტრო გამოცდა;
- უცხოური ენის (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით).
- სასპეციალიზაციო გამოცდა შემოქმედებითი ტურის სახით.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

1.კურსდამთავრებულს აქვს სახვითი ხელოვნების სახეობების, დარგების დამახასიათებელი ნიშან-თვისებების, ამოცანების, სტილისტიკის და ჟანრობრივი თავისებურებების ღრმა და სისტემური ცოდნა.

2.დაზგური მხატვრობისთვის, ილუსტრირებისთვის, კინო და თეატრალური მხატვრობისთვის საჭირო მასალის, სამუშაოს ხასიათის და ამოცანის მიხედვით, ოპტიმალურად გამოყენების მეთოდიკის, თანამედროვე, ალტერნატიული და არატრადიციული მხატვრული აზროვნების სფეროს ცოდნა.

3. ფერის, პლასტიკის, სივრცისა და სასურათე სიბრტყის ურთიერთდამოკიდებულების, მხატვრული იდეის და თემატიკის შემოქმედების საბოლოო პროდუქტთან დაკავშირების სისტემური ცოდნა; მხატვრული კომპოზიციური აზროვნების სხვა და სხვა დარგში და მასალაში სტილისტური და მიზნობრივი დატვირთვის გათვალისწინებით გამოყენების ცოდნა, შედეგად - ორიგინალური მხატვრული იდეების შემოქმედებითად გადაწყვეტის უნარი.

4. სახვითი ხელოვნების ამა თუ იმ სფეროში შეძენილი პრაქტიკული ცოდნისა და გამოცდილების შეჯერებისა და სინთეზირების უნარი.
5. ხელოვნებაში თეორიული აზრის განვითარების ისტორიული ეტაპების გაღრმავებული ცოდნა; მხატვრული შემოქმედების ანალიტიკური აპექტის, როგორც ცნობიერების ფორმის არსის, მნიშვნელობის გაცნობიერება.
6.თანამედროვე ხელოვნების რთული და წინააღმდეგობრივი პროცესების ცოდნა, რაც საკუთარი ორიგინალური იდეების მსოფლიო სახელოვნებო პროცესებსა და ტენდენციებთან შეფარდების საშუალებას იძლევა.
7.მხატვრული ტექსტის გაგების და განმარტების მეთოდური კონცეპტების ღრმა და სისტემური ცოდნა.
8. ხელოვნების ნაწარმოებისა და გარემოს დიზაინის მხატვრული და მსოფმხედველური საზრისების გაგება და გაცნობიერება.
9.ორიგინალური ჩანაფიქრების, პროექტების შემუშავებისა და მათი განხორციელების მხატვრული და ტექნიკური საშუალებების მოპოვების უნარი.
10. მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.

ცოდნის პრატიკაში გამოყენების უნარი:
პრაქტიკული უნარების გამომუშავება პროგრამისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს და საგნების უმრავლესობა ამ ამოცანას ემსახურება.
1. .კურსდამთავრებულს აქვს დაზგურ ფერწერასა და გრაფიკაში, კინო-ტელე და თეატრის მხატვრობაში სამუშაოდ საჭირო მასალების, ინსტრუმენტებისა და დამხმარე ინვენტარის პრაქტიკაში სწორად და ოპტიმალურად გამოყენების უნარ-ჩვევები.
2. სრულყოფილად ფლობს აკადემიური ხატვის ტექნიკას და ხერხებს , ზეთის ფერწერის, აკვარელის, ტემპერისა და გუაშის ტექნიკას.
3. შეუძლია სხვა და სხვა სამხატვრო ტექნიკის სინთეზისა ან მათი სამუშაოს შესრულების ეტაპების მიხედვით მონაცვლეობის მეშვეობით შექმნას მაღალმხატვრული პროდუქცია.
4. შეუძლია ნებისმიერი სირთულის კომპოზიციაზე მუშაობისას შემოქმედებითად გამოიყენოს ათვისებული პრაქტიკული უნარები,მონახოს ამოცანის ორიგინალური კომპოზიციური და მხატვრული გადაწყვეტა.
5. აქვს საკუთარი მხატვრული ხედვის თანამედროვე ხელოვნების მულტიდისციპლინარულ გარემოში დანერგვის, ინდივიდუალური მხატვრული პრაქტიკის უახლესი კონცეფციებით გამდიდრების უნარი.
6. შემოქმედებითი პროექტის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ინდივიდუალურად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი.
7. აქვს არტეფაქტების სოციუკულტურული და სხვა გარეგანი კავშირ-მიმართულებების, ფუნქციების მექანიზმების და მათი მხატვრულ ტექსტთან შინაგან-შინაარსეული ექსისტენციალური გაგების პრაქტიკა.
8. არტეფაქტისა და დიზაინერული პროექტების მხატვრული ღირებულების ექსპერტიზისა და ორიგინალური შემოქმედებითი მეთოდის გამოყენების უნარი.
9. მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება,

სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.

დასკვნის უნარი:

1. კურსდამთავრებულს აქვს მხატვრობის სპეციფიკისა და ამ სფეროში შეფასების კრიტერიუმების არაერთგვაროვნების გაცნობიერებაზე დაყრდნობით, როგორც ხელოვნების ნიმუშის, ასევე მხატვრული იდეის, კონკრეტული ამოცანის და გარემოსთვის მისადაგების შეფასებისას საფუძვლიანი კრიტიკული ანალიზის უნარი
2. უახლესი სახელოვნებო ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის, დასკვნების გამოტანისა და მხატვრულ-ესთეტიკური იდეების სინთეზის უნარი.
3. ვიზუალური ხელოვნების ინდივიდუალურად შერჩეულ დარგში გააზრებული შემოქმედებითი ციკლის გავლა. თემის, ჟანრის და სტილის გათვალისწინებით გაანალიზების, დაგეგმვისა და პრეზენტაციის უნარი.
4. მხატვრულ შემოქმედებასთან დაკავშირებული სიტუაციის გარკ ვევისათვის აუცილებელი არგუმენტირებული და კვალიფიციური დასკვნების გაკეთების უნარი.
5. კურსდამთავრებულს შეუძლია სფეროს შემოქმედებითი ნაწილისათვის დამახასიათებელი რთული, კომპლექსური, ხშირ შემთხვევაში არასრული ინფორმაციია შეგროვება, სპეციფიკური სიტუაციების კრიტიკული ანალიზი, ბიოეთიკურ ველზე არსებული დილემური კოლიზიების გახსნა, ზნეობრივი მოტივების აღმოჩენა–დადგენა და ინდუქციას, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდების გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.

კომუნიკაციის უნარი:

1. კურსდამთავრებულს აქვს თეორეტიზირებისა და, აქედან გამოდინარე, ვერბალური კომუნიკაციის უნარი, რაც სახვითი ხელოვნების სფეროში მოღვაწეთათვის, ამ სფეროს გამოხატვის"ენობრივი" სპეციფიკიდან გამომდინარე, მოსაზრებების არგუმენტაციის დამატებითი საშუალებაა.სახვითი ხელოვნების სფეროში, პროფილისა და თემატიკის შესაბამისად, კონკრეტულ შემოქმედებით ამოცანაზე დასკვნების გამოტანისა და მათი არგუმენტაციის უნარი.
2. ჰერმენევტიკული მეთოდოლოგიის კლასიკური და თანამედროვე კონცეპტების ათვისებით ცნებითი აპარატის გამომუშავება, რომელიც პროფესიულ საზოგადოებასთან საერთაშორისო კონტაქტების, თანამედროვე საინფორმაციო საშუალებებით დამყარების შესაძლებლობას იძლევა.
3. კურსდამთავრებულს ფლობს საკუთარი პოზიციის არტიკულაციის, არგუმენტირების უნარს ძირითად კონცეპტებთან მიმართებაში, მას შეუძლია მხატვრული სახისა და სიმბოლოს სფეროში არსებული რთული, დილემური სიტუაციების ანალიზის ანგარიში წარმოადგინოს საჯარო პაექრობაზე, როგორც ზეპირად,ისე წერილობით, როგორც მშობლიურ, ისე უცხო ენაზე. ფლობს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს.
4. კურსდამთავრებულს შეუძლია ორგანიზაციასა და მომხმარებელის კულტურული განსხვავებულობის დაფიქსირება, რათა განსხვავებულ კულტურულ ღირებულებათა მქონე ადამიანებთან შესაძლებელი იყოს კომუნიკაცია.

სწავლის უნარი:

1 კურსდამთავრებულს აქვს პრაქტიკული უნარ-ჩვევების, კომპოზიციური აზროვნების განვითარების ინდივიდუალურ-შემოქმედებით რეჟიმში, დამოუკიდებლად წარმართვის უნარი.
2. ვიზუალური ხელოვნების ამა თუ იმ დარგში მხატვრული პროდუქციის შესრულებისა და პრეზენტაციის პირობების დაგეგმვის, თემის აქტუალობისა და პროექტის ეფექტურობის განსაზღვრის უნარი; ინდივიდუალურ -მხატვრული სფეროს ზოგად კულტურულ კონტექსტში და თანამედროვე სახელოვნებო პროცესებში ჩართვის უნარი.
3. ჰერმენევტიკა იყენებს გაგების, ინტერპრეტაციის, ტრანსპოზიციის, ინტროსპექციის, რეფლექსიის, თვითსეფასების და კრიტიკული თვითცნობიერების მეთოდს; შედეგად - მხატვრული შემოქმედების დამოუკიდებლად წარმართვის, სწავლის გაგრძელების რაციონალურად დაგეგმვის უნარი.
4. აცნობიერებს სწავლების პროცესის სტრატეგიული დაგეგმარების აუცილებლობას და შეუძლია რთულ სიტუაციაში ადაპტირება; ინდივიდუალურ-შემოქმედებითი მიზნებიდან გამომდინარე ინფორმაციის მკაფიოდ, გამიზნულად, სრულად მიღება და გამოყენება.

ღირებულებები:
1.კურსდამთავრებულს აქვს ესთეტიკური აზრის ისტორიის, როგორც მხატვრულ ღირებულებათა დამკვიდრებისა და ცვლის ისტორიის ცოდნა, საკუთარ და სხვათა ღირებულებების მიმართებათა შეფასებისა და აქტივიზაციის უნარს.
2. არტეფაქტებისა და გარემოს დიზაინის მხატვრული ღირებულების შექმნისა და გაგების უნარი.
3. ესთეტიკური გემოვნებისა და შეფასების უნარი.
4. ისეთი ღირებულებითი შკალის შემუშავების უნარი, რომელიც გულისხმობს ესთეტიკური და მორალური ნორმების შესაბამის ქცევას.

დასაქმების სფეროები:
სამაგისტრო პროგრამის წარმატებით დამთავრების შემდეგ სტუდენტს ექნება აუცილებელი კომპეტენცია, თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ინდივიდუალური შემოქმედებითი მუშაობისათვის სახვით ხელოვნებაში, მას ეძლევა შესაძლებლობა თავისი პროფილის მიხედვით დასაქმდეს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში; აგრეთვე ის შეიძლება დასაქმდეს საგამომცემლო სფეროში, კინო და ტელე მხატვრობაში; სხვადასხვა სფეროში, სადაც ობიექტის ან პერფორმანსის მხატვრული სახის დადგენა არის საჭირო. მაგისტრის ხარისხი მათ კარიერული წინსვლის შესაძლებლობას აძლევს.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:
სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა იყენებს ლექციას, პრაქტიკული მუშაობას, საშინაო დავალებას, შუალედურ შეფასებას, პრეზენტაციას, სამაგისტრო ნაშრომს, დასკვნითი გამოცდას.
სწავლების ფორმატში გამოყენებულია ვერბალური, წიგნზე მუშაობის, დაკონსპექტების, ანალიზისა და სინთეზის, დემონსტრირების (ნამუშევრის შესრულების სხვა და სხვა ეტაპზე პედაგოგი პრაქტიკულად აჩვენებს სტუდენტს შესრულების ტექნიკურ ხერხებს), პრაქტიკული მეთოდები.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:
შეფასების სისტემა ასქულიანია (საბოლოო გამოცდის ქულა არ აღემატება 40-ს)
შეფასების სისტემა უშვებს:
ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. საბოლოო შეფასება უნდა ითვალისწინებდეს: ა) შუალედურ შეფასებას (დამოუკიდებლად არის განსაზღვრული თითოეული საგნის სილაბუსში) ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

პროგრამის ხელმძღვანელები:
ლევან სილაგაძე, მხატვარი, თსუ ასოცირებული პროფესორი(cv იხ. დანართში #1)
ირაკლი ბრაჭული, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი (cv იხ. დანართში #2)

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ (გვარი, სახელი, აკადემიური თანამდებობა, ხარისხი):
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, მხატვარი ლევან სილაგაძე (პროგრამის ხელმძღვანელი)
ასოცირებული პროფესორი ირაკლი ბრაჭული (პროგრამის ხელმძღვანელი)
სრული პროფესორი აკაკი ყულიჯანაშვილი
ასოცირებული პროფესორი ანასტასია ზაქარიაძე
ასოცირებული პროფესორი ვალერი რამიშვილი
ასისტენტ პროფესორი, მხატვარი ვლადიმერ ასათიანი

მოწვეული პედაგოგები - მხატვარი მალხაზ კუხაშვილი, მხატვარი ლელა გელეიშვილი, მხატვარ-დიზაინერი მაკა ახობაძე, რომლებიც ამავე დროს უძღვებიან
სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის და მოქმედი პროფესიული პროგრამების პრაქტიკულ საგნებს.
ბიოგრაფიული მონაცემები (CV) იხ დანართში #3

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები:

იხილე დანართი #4

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **სახვითი ხელოვნების** სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება ფაკულტეტის ვიზუალური ხელოვნების ინსტიტუტის ბაზაზე. სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია თსუ ცენტრალური და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკები, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის კომპიუტერული რესურს-ცენტრები.

ამავე დროს მხატვრობის სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე სასწავლო პროცესისთვის აუცილებელია დამატებითი პირობები - პროგრამის სტრუქტურისა და სწავლების პრაქტიკული ხასიათის გამო სახვითი ხელოვნების პროგრამისათვის გამოყოფილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სპეციალიზირებული სამხატვრო სტუდიის სახით. პროგრამა დარგობრივი კუთხით სწორედ ისეთნაირად არის შემუშავებული, რომ მაქსიმალურად იქნას გამოყენებული არსებული დანადგარები, ტექნიკა, დამხარე ინვენტარი და აღჭურვილობა. სახვითი ხელოვნების სტუდია-ლაბორატორიას (საერთო ფართი 350 მ2,) გააჩნია მხატვრობისთვის ოპტიმალური ბუნებრივი განათების წყარო, აღჭურვილია დაზგური ფერწერის და გრაფიკისთვის აუცილებელი ინვენტარით – მოლბერტები (15), დაფები (40), ტუმბოები (100), სადგარები (50), თაბაშირის მარტივი და რთული მოდელები (35), ოფორტის დაზგა.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **სახვითი ხელოვნების** სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

სწავლის შედეგების რუქა:

№	1.1	1.2	1.3	1.4	1.5	1.6	1.7	1.8	1.9	1.10	2.1	2.2	2.3	2.4	2.5	2.6	2.7	2.8	2.9	3.1	3.2	3.3	3.4	3.5	4.1	4.2	4.3	4.4	5.1	5.2	5.3	5.4	6.1	6.2	6.3	6.4
1.	+	+	+	+							+	+	+	+						+									+	+			+			
2.	+	+	+	+							+	+	+	+						+									+	+			+			
3.	+	+	+									+	+	+						+									+							
4.	+	+	+									+	+	+						+									+							
5.	+			+									+	+		+						+			+				+	+						
6.	+			+									+	+		+						+			+				+	+						
7.	+			+									+	+		+						+			+				+	+						
8.							+	+	+								+	+					+	+		+	+	+			+	+		+	+	+
9.							+	+	+								+	+					+	+		+	+	+			+	+		+	+	+
10.		+	+	+							+		+	+						+									+							
11.		+	+	+							+		+	+						+									+							
12.		+	+	+									+	+						+									+							
13.		+	+	+									+	+						+									+							
14.							+	+	+								+	+					+	+		+	+	+			+	+		+	+	+
15.							+	+	+								+	+					+	+		+	+	+			+	+				
16							+	+	+								+	+					+	+		+	+	+			+	+		+	+	+
17								+	+								+	+					+	+		+	+	+				+		+	+	+
18							+	+	+								+	+					+	+		+	+	+			+	+		+	+	+
19							+	+	+								+	+					+	+		+	+	+			+	+				
20							+	+	+								+	+					+	+		+	+	+			+	+		+	+	+
21					+	+									+						+								+				+			
22					+	+									+						+								+				+			
23							+	+	+								+	+					+	+		+	+	+			+	+		+	+	+
24										+									+								+									
25										+									+								+									

* ნუმერაცია პირველ ვერტიკალურ კოლონაში შეესაბამება პროგრამის სტრუქტურაში საგანთა ნუმერაციას.

** ნუმერაცია პირველ ჰორიზონტალურ მწკრივში შეესაბამება პროგრამის შედეგების ნუმერაციას.